რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზში, ნაფიცი მსაჯულებისთვის განკუთვნილი ადგილები განთავსებულია სხდომის თავმჯდომარე-მოსამართლის მოპირდაპირედ, როგორც ეს მოწყობილია აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ისტორიულ სხდომის დარბაზში. ნაფიც მსაჯულთა ამგვარი განლაგება ნაფიც მსაჯულებს შესაძლებლობას აძლევს შეუფერხებლად, პირდაპირი ხედით თვალი ადევნონ მოწმის (მათ შორის ტექნიკური საშუალებით დისტანციური წესით) დაკითვის, მატერიალური და ელექტრონული მტკიცებულებების გამოკვლევის და მხარეთა მიერ პიზიციების გამოხატვის პროცესს. სხდომის დარბაზში გათვალისწინებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ყველა საჭიროება, მათ შორის: თანამედროვე გახმოვანების სისტემა, ელექტრონული მტკიცებულებების საპრეზენტაციო ეკრანი, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა შესარჩევი კომპიუტერული ტექნიკა, მატერიალური მტკიცებულებების გამოსაკვლევი მაგიდა, მოწმეების დისტანციური დაკითხვის ტექნიკური საშუალებები, ასევე პრესისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილი.

აშშ - ს უზენაესი სასამართლოს ისტორიული სხდომის დარბაზი

ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზის ამგვარი მოწყობა გამორიცხავს სხდომის მიმდინარეობისას ნაფიც მსაჯულთა სახეების ფოტო - ვიდეო გადაღებას და უზრუნველყოფს მათ პიროვნულ კონფიდენციალურობას გარეშე პირებისთვის. ასევე გამორიცხავს რაიმე სახის უკანონო კომუნიკაციას ან/და ემოციურ ზეგავლენას სხდომის დარბაზში მყოფი დამსწრე მოქალაქეებისგან.

ნაფიც მსაჯულთა მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ნაფიცი მსაჯულების განსათავსებელი სივრცე, დარბაზის დანარჩენი ნაწილისგან გამიჯნულია დაჯავშნული შუშით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზი

რუსთავის საქალაქო სასამართლოში, მოწყობილია სათანადო ტექნიკით აღჭურვილი ნაფიც მსაჯულთა სათათბირო და სასადილო ოთახები.

ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახი აღჭურვილია საპრეზენტაციო დაფით, პროექტორით, სასამართლოს სპეციალისტის გამოსაძახებელი ღილაკით, მონიტორით და პორტატული კომპიუტერით.

ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახი

ნაფიცი მსაჯულებისთვის სასადილო ოთახში ხელმისაწვდომია მხოლოდ მათი სარგებლობისთვის განკუთვნილი წყლის მადუღარა, სენდვიჩის აპარატი, მიკროტალღური ღუმელი და მაცივარი.

ნაფიც მსაჯულთა სასადილო ოთახი

ნაფიც მსაჯულებს, სასამართლო სხდომებზე შესვენებისას შეუძლიათ ისარგებლონ რუსთავის საქალაქო სასამართლოს შიდა ეზოთი და ეზოში მოწყობილი რეკრეაციული სივრცით, სადაც გარეშე პირები არ დაიშვებიან.



სათადარიგო ნაფიც მსაჯულებს, ძირითადი ნაფიცი მსაჯულების თათბირის დროს შეუძლიათ ისარგებლონ სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობაში არსებული ბიბლიოთეკის სივრცით, სადაც შეუძლიათ გაეცნონ სასამართლოში არსებულ სამართლებრივ ბიბლიოთეკას, ოფიციალური დელაგაციების მიერ სასამართლოსთვის გადაცემულ სამახსოვრო ნივთებს, მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა ავტორობით/მონაწილეობით შექმნილ ნივთებს, სურათებს, ნაქარგებს და სხვა. ასევე შეუძლიათ უყურონ სატელევიზიო გადაცემებს, გარდა განსახილველ საქმესთან დაკავშირებული გადაცემებისა.